მივლინების ანგარიში

მივლინების მიზანი: მონაწილეობა ფრანგულენოვანი ქვეყნების საპარლამენტო ასამბლეის (APF) გენერალური ასამბლეის ყოველწლიურ რიგით 43-ე სესიაში.

დელეგაციის წევრები:

ბ-ნი გიორგი კახიანი - საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე (დელეგაციის წევრი);

მივლინების ადგილი: ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო, ქ. ლუქსემბურგი.

მივლინების თარიღი: 2017 წლის 7-12 ივლისი

ა.წ. 7-12 ივლისს, ლუქსემბურგის დიდ საჰერცოგოში, ქ. ლუქსემბურგში გაიმართა ფრანგულენოვანი ქვეყნების საპარლამენტო ასამბლეის პლენარული სხდომის რიგით 43-ე შეხვედრა.

პლენარულ სხდომას წინ უძღოდა ასამბლეის 4 კომიტეტის: საპარლამენტო საქმეთა, თანამშრომლობისა და განვითარების, განათლების, მეცნიერების, კომუნიკაციისა და კულტურულ საქმეთა და პოლიტიკის კომიტეტის პარალელური სხდომები.

საპარლამენტო საქმეთა კომიტეტის განხილვის ძირითად თემას წარმოადგენდა საპარლამენტო თანამშრომლობის განვითარება ფრანკოფონიის სივრცეში, რომლის შესახებაც წარმოდგენილ და მიღებულ იქნა შესაბამისი რეზოლუცია. რეზოლუციის თანახმად ფრანგულენოვანი ქვეყნების საპარლამენტო ასამბლეა მომავალში გეგმავს უფრო აქტიურ მუშაობას, რათა ჩატარდეს ტრენინგებისა და სემინარების მთელი სერია, რომელიც განკუთვნილი იქნება არა მარტო ახლადარჩეული დეპუტატებისთვის, არამედ პარლამენტის აპარატის თანამშრომლებისათვის, რომლებიც ასევე დიდ როლს თამაშობენ საპარლამენტო ურთიერთობების განვითარებაში. კომიტეტის სხდომის ფარგლებში მოხსენებით გამოვიდნენ საფრანგეტის, კანადისა და ბენინის წარმომადგენლები.

პლენარული სხდომის განხილვის მთავარ თემას წარმოადგენდა: ''ეროვნული, ლინგვისტური და კულტურული მრავალფეროვნება''. სესია გახსნა ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოს დეპუტატთა პალატის თავმჯდომარემ ბ-ნმა მარს დი ბარტოლომეომ. მისასალმებელი სიტყვების შემდეგ განხილულ იქნა პლენარული სხდომის მთავარი თემა,

რომელზეც მომხსენებლად გამოვიდა ლუქსემბურგის უნივერსიტეტის სოციოლოგიის პროფესორი ბ-ნი ლუიშ შოველი.

სხდომის დასაწყისში სიტყვით გამოვიდნენ აგრეთვე ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოს პრემერ მინისტრი ბ-ნი გზავიე ბეტელი, ფრანკოფონიის საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი ობინ მინაკუ და ფრანკოფონიის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური მდივანი ქ-ნი მიშელ ჟანი.

ასამბლეის პლენარული სხდომის ფარგლებში მიღებულ იქნა ცხრამეტი რეზოლუცია, რომლებიც ძირითადად ეხებოდა ფრანკოფონიის სივრცეში არსებულ პოლიტიკურ სიტუაციას, სამოქალაქო განათლებას, ექსტრემიზმისა და რეადიკალიზმის პრევენციას და საპარლამენტო თანამშრომლობის განვითარებას.

სესიის დასრულებისას ჩატარდა არჩევნები, სადაც ფრანკოფონიის საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტად არჩეულ იქნა კვებეკის ეროვნულ იასამბლეის თავმჯდომარე ბ-ნი ჟაკ შანონი.

ანგარიში მოამზადა ფრანგულენოვანი ქვეყნების საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს მუდმივმოქმედი დელეგაციის მდივანმა ქ-ნ ნინო ბუჯიაშვილმა.